

საქართველოს მთავრობის
დადგენილება N
2018 წლის ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, 08/07/2016, სარეგისტრაციო კოდი 300160070.10.003.019366) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი მარტიდან.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

მამუკა ბახტაძე

განმარტებითი ბარათი

„ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი ითვალისწინებს „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

პროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2018 წლის 17 ივლისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოვიდა საქართველოში ოპერირებადი სავაჭრო ქსელების (სს „გუდვილი“, შპს „ფუდმარტი“, შპს „არბო“, სს „ნიკორა“, შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარჯეტს ჯორჯია“, „ვისოლ-ჯგუფი-სუპერმარკეტების ქსელი სმარტი“, შპს „აგროჰაბი“, შპს „ფრესკო ნიუ სტანდარტს“) ხარისხის კონტროლისა და სურსათის უვნებლობის მენეჯერების N9005 კოლექტიური წერილი, რომელიც შეეხება „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილების ამოქმედების თარიღის გადაწევას 2019 წლის პირველ მარტამდე.

როგორც წერილიდან ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების შესასრულებლად სურსათის ბიზნესოპერატორებს მიეცათ ორწლიანი გარდამავალი პერიოდი, მათი მხრიდან შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, ზემოხსენებული სავაჭრო ქსელების წარმომადგენლების მიერ იგეგმება შესაბამისი სპეციალური ტრენინგების გამართვა მომწოდებლებისათვის, რათა გაადვილდეს მათთვის „ტექნიკური რეგლამენტის -

მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილების მოთხოვნების საქმიანობაში დანერგვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილების ამოქმედების თარიღად ნაცვლად 2018 წლის პირველი სექტემბრისა, განისაზღვროს 2019 წლის პირველი მარტი, რაც ბიზნესოპერატორებს საშუალებას მისცემს მომზადებულები შეხვდნენ ამ დადგენილების მოთხოვნებს.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს სურსათის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების დაცვას და შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2019 წლის პირველი მარტიდან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.